საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/21 "16" მარტი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

„ზოგიერთი მოსამართლისათვის საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის №1/26 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნინო სახელაშვილმა, სიღნაღის რაიონული სასამართლოს მაგისტრატმა მოსამართლემ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ლიკა ბოკერიამ და ფოთის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატმა მოსამართლემ ხობის მუნიციპალიტეტში ეკატერინე მაღრაძემ 2022 წლის 14 მარტს წერილობით აცნობეს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების ადგილზე მათ არ აქვთ საცხოვრებელი ბინა. აღნიშნულის გათვალისწინებით:

1. „ზოგიერთი მოსამართლისათვის საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის №1/26 განკარგულების პირველ მუხლში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე" ქვეპუნქტი:

„ე) ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნინო სახელაშვილს.";

ბ) მე-11 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) სიღნაღის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ლიკა ბოკერიას.";

გ) მე-14 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ" ქვეპუნქტი:

„ბ) ფოთის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლეს ხობის მუნიციპალიტეტში ეკატერინე მაღრაძეს.".

2. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი